საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი: მარინა კვაჭაძე

კომისიის წევრი: ლავრენტი ქავთარაძე

კომისიის წევრი: დავით კაკაბაძე

კომისიის წევრი: დათუნა მოდებაძე

კომისიის წევრი: ცირა შუბითიძე

კომისიის წევრი: არჩილ კბილაშვილი

კომისიის წევრი: გიგა კვერენჩხილაძე

კომისიის წევრი: ემზარ პაქსაძე

კომისიის წევრი: იური ვაზაგაშვილი

კომისიის წევრი: კახაბერ წერეთელი

საჩივრის ავტორი: ნ. ჯ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 13.06.2011

საჩივრის რეგისტრაციის №054/11

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ, სიითი №

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ მ. დ.-ისათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება.

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2011 წლის 13 ივნისს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ნ. ჯ.-მ და მოითხოვა ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 2011 წლის 30 ივნისს ნ. ჯ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი ახსნა-განმარტება, რომელშიც დეტალურად აღწერს საჩივარში მითითებულ გარკვეულ ფაქტობრივ გარემოებებს.

1.3 ნ. ჯ. აღნიშნავს, რომ 2010 წლის 02 აგვისტოს ადვოკატ მ. დ.-ს გაუფორმა რწმუნებულება, რომელიც აწარმოებდა მის საქმეებს სასამართლოსა და სააღსრულებო ბიუროში.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2010 წლის 09 მარტის თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის გადაწყვეტილებით მისი შეგებებული სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და ზ. ჯ.-ს მცირეწლოვანი შვილის სასარგებლოდ დაეკისრა ყოველთვიური ალიმენტის გადახდა, ასევე ნ. ჯ.-ისათვის 50 000 აშშ დოლარის გადახდა და საადვოკატო მომსახურების ხარჯების ანაზღაურება.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი გულგრილობითა და ზერელე დამოკიდებულებით გამოირჩეოდა ნ. ჯ.-ის მეორე საქმის მიმართაც ზ. ჯ.-ისა და ჰ. ქ.-ის წინააღმდეგ. მან დროულად არ დაფარა სახელმწიფო ბაჟი, ამით გაიხანგრძლივა დრო და ფარული გარიგებები დაიწყო მეორე მხარესთან. მ. დ. აძალებდა მას, უარი ეთქვა სარჩელზე და ყველანაირ მოთხოვნაზე ზ. ჯ.-ის წინააღმდეგ, რასაც კლიენტი არ დაეთანხმა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2011 წლის 02 ივნისს მ. დ.-მ მისი ნებართვის გარეშე სააღსრულებო ბიუროდან გამოითხოვა სააღსრულებო ფურცელი.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. დ.-მ შეგნებულად გამოითხოვა სააღსრულებო ფურცელი, რადგან ცდილობდა დრო მიეცა მისი ყოფილი მეუღლისათვის, ზ. ჯ.-ისათვის, რომ გაესხვისებინა ქონება და სასამართლოს მიერ დაკისრებული 50 000 აშშ დოლარი არ გადაეხადა.

1.8 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მ. დ. მოისყიდეს 10 000 აშშ დოლარად, რათა შეეწყვიტა მისი საქმეების წარმოება და ამიტომ გამოითხოვა სააღსრულებო ფურცელი და უმალავდა საქმის მასალებს, რის გამოც მას დასჭირდა საპატრულო პოლიციის გამოძახება.

1.9 საჩივრის ავტორის განმარტებით, მ. დ. ცრუობს, როდესაც აცხადებს რომ 10 000 აშშ დოლარი მისთვის გადასაცემად გამოართვა ზ. ჯ.-ს და თავად ნ. ჯ.-მ შეუშალა ხელი, ვინაიდან მან იცოდა იმ ბანკის ანგარიშის ნომერიც, სადაც შეეძლო თანხა ჩაერიცხა.

1.10 საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მან კვლავ მიმართა სააღსრულებო ბიუროს, მაგრამ არა აქვს საშუალება თავიდან გადაიხადოს მ. დ.-ის უკანონო ქმედების გამო სააღსრულებო მომსახურების საზღაური 1200 ლარის ოდენობით.

1.11 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა მ. დ.-მ გადააჭარბა მის უფლებამოსილებას, ფარულ გარიგებებზე წავიდა ზ. ჯ.-ის ადვოკატ ნ. კ.-სთან, რის გამოც უარი განაცხადა მის საადვოკატო მომსახურებაზე და გაუუქმა რწმუნებულება. ნ. ჯ.-ის განმარტების თანახმად, მ. დ.-ის ქმედებით მას მიადგა დიდი მორალური და მატერიალური ზიანი.

1.12 საჩივრის ავტორი ითხოვს ადვოკატის მ. დ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას, ასევე მისგან ზიანის ანაზღაურებას და საქმის სასწრაფოდ წარმოებას, რათა არ მოხდეს ქონების გასხვისება.

1.13 2011 წლის 24 ივნისის ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე საჩივრის ავტორმა უპასუხა ეთიკის კომისიის წევრების კითხვებს, ასევე განმარტა, რომ იგი ეთანხმება საჩივარს.

1.14 2011 წლის 9 სექტემბერს ეთიკის კომისიის დისციპლინური კოლეგიის სხდომაზე, ხოლო 2011 წლის 11 ოქტომბერს ეთიკის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა საჩივრის ავტორი, დაეთანხმა საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე და უპასუხა ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს.

1.15 საჩივრის ავტორის განმარტებით, 6 ივნისს, იმ დღეს, როდესაც ის მივიდა ადვოკატთან საქმის მასალების ასაღებად, 13 საათსა და 59 წუთზე ზ. ჯ.-ს უკვე გადაფორმებული ჰქონდა საკუთრებად უძრავი ქონების წილები, მ.შ. ნ. ჯ.-ის წილი. ამ ფაქტის გამო, საფრთხე შეექმნა როგორც პირადად მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებას, ასევე იმ 50 000 აშშ დოლარს, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით მიეკუთვნა ნ. ჯ.-ს.

1.16 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ იგი მორიგების პირობის სახით თანხმობას აცხადებდა ყადაღა მოეხსნა თურქების ქონებაზე, რომელთა ბიზნესშიც წილს ფლობდა მისი ყოფილი მეუღლე, სანაცვლოდ ეს უკანასკნელი გადაიხდიდა ბანკის ვალს, რაც შეეხება 50 000 აშშ დოლარის გადახდამდე სადავო წილების ზ. ჯ.-ისათვის გადაცემის პირობით მორიგებას, ამის წინააღმდეგი იყო ნ. ჯ.. მისთვის მიუღებელი იყო მეორე მხარის შემოთავაზება, რომ მათ წინააღმდეგ მიმდინარე საქმეთა შეწყვეტის შემდეგ დაფარავდნენ საქართველოს ბანკის ვალს.

1.17 საჩივრის ავტორის განმარტებით, მორიგების წინაპირობების თაობაზე იცოდა მხოლოდ ის, რაც ზ. ჯ.-ის წარმომადგენლის ნ. ჯ.-სადმი მოწერილ წერილებში ეწერა, ხოლო სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვის შესახებ მისთვის უცნობი იყო.

1.18 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატს მისთვის მორიგების აქტი საბუთების დაბრუნების დღესაც არ უჩვენებია. მისთვის უცნობი იყო თუ რა მოილაპარაკეს მის გარეშე მხარეებმა 31 მაისს.

1.19 საჩივრის ავტორის განმარტებით, ინკასო მხოლოდ 935 ლარს ედო და მის ზევით არსებულ თანხებს თავისუფლად განკარგავდა. ადვოკატს არ განუმარტავს მისთვის, რომ ანგარიშზე თანხის ჩარიცხვას ხელს უშლიდა ინკასო. ადვოკატის მიერ კლიენტთან არ ყოფილა შეთანხმებული, რომ 10 000 აშშ დოლარი მის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის სანაცვლოდ გადაეცემოდა მ. დ.-ს ხელზე. აღნიშნული თანხის მიღების თაობაზე მ. დ.-მ მხოლოდ მასთან საბუთების წამოსაღებად მისვლისას აცნობა კლიენტს.

1.20 საჩივრის ავტორის განმარტებით, მან არ მოსთხოვა ადვოკატს მისთვის გადაეცა 10 000 აშშ დოლარი, აღნიშნული შემთხვევით გაიგო და ამ თანხის თაობაზე 6 ივნისის შემდეგაც არ უწარმოებია მოლაპარაკება. კლიენტის განმარტებით, ადვოკატს მისთვის არ შეუთავაზებია თანხის აღება და განაცხადა, რომ თანხას ზ. ჯ.-ს დაუბრუნებდა.

1.21 საჩივრის ავტორის განმარტებით, დაკმაყოფილდა საქართველოს ბანკის სარჩელი, რის შედეგადაც საქართველოს ბანკს მიეცა ნ. ჯ.-ის ბინის გაყიდვის უფლება. მას არა აქვს გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობა (უფლების ნაცვლად) სახელმწიფო ბაჟის გადახდის საშუალების არქონის გამო და რამდენიმე დღეში მისი ბინა გაიყიდება. აღნიშნული საქმე უკავშირდება ადვოკატის მიერ სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვას, ვინაიდან მეორე მხარესთან ამ ბინაზე იყო საუბარი. საქართველოს ბანკთან სასამართლო პროცესზე, რომელიც მხარესთან მოლაპარაკების გამო გადაიდო და ადვოკატის განცხადებით ბანკის წარმომადგენელს გაეცნობოდა მორიგების აქტი, სხდომაზე არავის წარმოუდგენია იგი. ნ. ჯ.-მ ამავე სხდომაზე შეიტყო, რომ ბინის ნახევარი წილი მორიგების სანაცვლოდ მის მეუღლეს გადაუფორმებია. ნ. ჯ.-მ თავად ვერანაირ შედეგს მიაღწია მორიგების აქტით, ვინაიდან მას არ ჰქონდა სამართლებრივი ძალა.

1.22 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის მიერ მისი ნებართვის გარეშე სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვის შედეგად, კლიენტს მიადგა 20 000 აშშ დოლარის ზიანი, რაც წარმოადგენს ბათუმში მდებარე უძრავი ქონების ღირებულებას. აღნიშნული უძრავი ქონების ½ წილი გადაფორმდა ზ. ჯ.-ის სახელზე, ხოლო მან იპოთეკით დატვირთა ეს ფართი. კლიენტმა მ. დ.-ის ქმედების შედეგად დაკარგა ბინა ვაკეში, ვინაიდან მოწინააღმდეგე მხარემ არ შეასრულა პირობა, არ გადაიხადა საქართველოს ბანკის ვალი, რომელმაც მიმართა იძულებით აღსრულებას. 50 000 აშშ დოლარის მისაღებად სააღსრულებო წარმოების მეორედ დაწყების მიზნით, სააღსრულებო საფასურის სახით საჩივრის ავტორმა კიდევ ერთხელ უნდა გადაიხადოს 1292 ლარი.

1.23 საჩივრის ავტორის განმარტებით საბუთების ასაღებად მისულს, ადვოკატმა ნებაყოფლობით არ დაუბრუნა რა დოკუმენტაცია, კლიენტს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცყოფა მიაყენა, რის შემდეგაც ნ. ჯ.-ს დასჭირდა პატრულის გამოძახება. ამ ფაქტის შემსწრე და თვითმხილველი იყო მ. დ.-ის მეუღლე. აღნიშნულის თაობაზე დაფიქსირებულია საპატრულო პოლიციის ოქმში.

1.24 საჩივრის ავტორის განმარტებით, 6 ივნისს, მას შემდეგ რაც გაიგო, რომ მ. დ.-მ სააღსრულებო ფურცელი გამოითხოვა, კლიენტმა გადაწყვეტა ახალი ადვოკატის აყვანა.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა მ. დ.-მ 2011 წლის 24 ივნისს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა–განმარტება.

2.2 ადვოკატის განმარტების მიხედვით, 2010 წლის 02 აგვისტოს მიმართა ნ. ჯ.-მ და სთხოვა მისი ინტერესების სასამართლოში დაცვა. საქმის მასალების გაცნობის შემდეგ ადვოკატი დათანხმდა მას, თუმცა პირველი ინსტანციის სასამართლოში მხოლოდ გადაწყვეტილების გამოცხადება იყო დარჩენილი. სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე, ნ. ჯ.-ის შეგებებული სარჩელიდან ადვოკატმა კლიენტთან შეთანხმებით, ორ სასარჩელო მოთხოვნაზე დაუყოვნებლივ თქვა უარი და სსსკ-ს 83[1] მუხლით უკან გამოიხმო, ვინაიდან მისი აზრით საქმის მასალებიდან გამომდინარე, შეგებებული სარჩელის მოთხოვნები ამ ნაწილში ვერ დაკმაყოფილდებოდა.

2.3 ადვოკატი აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მან სასამართლოში წარადგინა ორი სასარჩელო განცხადება შეგებებულ სარჩელში მოხსნილი მოთხოვნების დაზუსტებული ვარიანტით, კერძოდ, ერთი სარჩელით მოითხოვა ნ. ჯ.-ის თანამესაკუთრედ ცნობა მისი მეუღლის ზ. ჯ.-ის ინდივიდუალურ საკუთრებაში რიცხულ ფართზე, რომელიც მას მემკვიდრეობით ჰქონდა მიღებული. მეორე სარჩელით კი, იმ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილობა, რითიც ნ. ჯ.-ის მეუღლემ ზ. ჯ.-მ თანაცხოვრების პერიოდში უძრავი ქონება მეუღლის თანხმობის გარეშე თვალთმაქცურად გაასხვისა. ადვოკატმა ორივე სარჩელთან დაკავშირებით მოითხოვა სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების სახით უძრავ ქონებაზე ყადაღის დადება, რაც დაკმაყოფილდა სასამართლოს მიერ.

2.4 ადვოკატი აღნიშნავს, რომ სამოქალაქო საქმეების გარდა, პარალელურად აწარმოებდა ნ. ჯ.-ის ადმინისტრაციულ საქმეებსაც. 2010 წლის ნოემბერში განცხადებით მიმართა ქ.ბათუმის შ.ს. სამმართველოს და მოითხოვა ნ. ჯ.-ის საკუთრებაში რიცხული ფართიდან, მდებარე მ.-ის ქ. № X-ში უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვა. მისი დახმარებით ნ. ჯ.-მ შესძლო თავისი კუთვნილი ფართით მიღებული შემოსავალი საკუთარ ანგარიშზე დაერიცხა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, ნ. ჯ.-ს სს ,,საქართველოს ბანკი"-სგან აღებული ჰქონდა კრედიტი, რის სანაცვლოდაც იპოთეკით დატვირთული იყო ქ.თბილისში ტ. ტ.-ის ქ.№XX-ში მდებარე უძრავი ქონება, რომელიც ასევე ნ. ჯ.-ის საკუთრებაში ირიცხებოდა. ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით ნ. ჯ.-ის საკუთრებაში რიცხულ უძრავ ქონებაზე ½ წილის მესაკუთრედ ცნობილი იქნა მისი ყოფილი მეუღლე ზ. ჯ.. ადვოკატმა ნ. ჯ.-ს შეაწყვეტინა სს ,,საქართველოს ბანკი"-ში სესხის დაფარვის მიზნით ყოველთვიური თანხის გადახდა. ამის შემდეგ, ბანკთან ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით ზ. ჯ.-მ დაიწყო მათთან მოლაპარაკებები.

2.6 ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. ჯ.-ს ნ. ჯ.-ის სასარგებლოდ დაეკისრა 50 000 აშშ დოლარის გადახდა. ამავე გადაწყვეტილებით ზ. ჯ. ცნობილი იქნა ქ.თბილისში ტ. ტ.-ის ქ.№XX-ში და ბათუმის მ.-ის ქ.№X-ში მდებარე ფართების წილის მესაკუთრედ.

2.7 ადვოკატის განმარტებით, ზ. ჯ. ნ. ჯ.-ს სთავაზობდა მითითებული გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით ბანკის ვალის გადახდას, რომელიც შეადგენდა 37 000 აშშ დოლარს, რის სანაცვლოდაც გაყიდიდა ტ. ტ.-ის ქ.№X-ში მდებარე ფართის ნაწილს, რომელიც სასამართლო გადაწყვეტილებით მიეკუთვნა, დამატებით კი გადასცემდა თანხას 2000 აშშ დოლარის ოდენობით.

2.8 ადვოკატის განმარტებით, მისი რჩევით ნ. ჯ.-მ ზ. ჯ.-ის შემოთავაზებაზე უარი განაცხადა და მათ თბილისის სააღსრულებო ბიუროში წარადგინეს 2010 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილება და მასზე გაცემული სააღსრულებო ფურცელი. სააღსრულებო ფურცლის წარდგენის შემდეგ, ნ. ჯ.-მ მიიღო შვილის სასარგებლოდ დაკისრებული ალიმენტი სრული ოდენობით, მაგრამ 50 000 აშშ დოლარის გადახდის საკითხს იძულებითი წესით ხელი შეეშალა იმ მოტივით, რომ ზ. ჯ. აღირიცხა მოვალეთა რეესტრში. მოვალეთა რეეტრში ზ. ჯ.-ის დარეგისტრირებამ ხელი შეუშალა 2010 წლის 29 სექტემბრის გადაწყვეტილებით ზ. ჯ.ზე მიკუთვნებული უძრავი ქონებების საჯარო რეესტრში რეგისტრაციას. სააღსრულებო წარმოება ჩიხში მოექცა. თუ გარკვეულ დათმობაზე არ წავიდოდნენ ისე შეუძლებელი ხდებოდა 50 000 აშშ დოლარის მიღება.

2.9 ადვოკატის განმარტებით, ზ. ჯ.-ის ადვოკატმა შესთავაზა მას მიეცა მისი მარწმუნებილისთვის შესაძლებლობა დაერეგისტრირებინა სასამართლო გადაწყვეტილებით მიკუთვნებული ქონებები, სანაცვლოდ კი გადაიხდიდა 10 000 აშშ დოლარს და დაფარავდა საქართველოს ბანკის ვალს, რომელიც იმ დროისთვის 40 000 აშშ დოლარს შეადგენდა. ვალის დაფარვის მიზნით ზ. ჯ. გაყიდიდა თავის წილს ტ. ტ.-ის ქ.№XX-ში მდებარე ფართიდან, ½ წილი კი ყოველგვარი ვალდებულების გარეშე დარჩებოდა მის მარწმუნებელს ნ. ჯ.-ს.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მეორე მხარის მიერ შემოთავაზებული პირობები დეტალურად განიხილა ნ. ჯ.-სთან ერთად. მან მხარესთან ერთად დასახა მომავალში სამოქმედო გეგმა. სააღსრულებო ბიუროში საქმის დამთავრებისთანავე დაუყოვნებლივ აპირებდა ახალი სარჩელის შეტანას, რითაც ზ. ჯ.-ს მოსთხოვდა იმ თანხის დაკისრებას, რომელიც ნ. ჯ.-ის ვალის დაფარვის მიზნით იქნებოდა გადახდილი. პარალელურად დაუყადაღებდა იმ უძრავ ქონებას, რომელიც მათივე დახმარებით აღერიცხებოდა საკუთრების უფლებით.

2.11 ადვოკატის განმარტებით, მათი პოზიცია მორიგებასთან დაკავშირებით 2011 წლის 30 მაისს სს ,,საქართველოს ბანკსა“ და ნ. ჯ.-ს შორის გამართულ სასამართლო სხდომაზეც დაფიქსირდა და სხდომა გადაიდო 14 ივნისამდე.

2.12 ადვოკატის განმარტებით მასსა და ზ. ჯ.-ის ადვოკატს ნ. კ.-ს შორის სწრაფი ტემპით მოხდა მორიგების აქტის გაფორმება, რადგან ბანკის ვალის დაფარვის საკითხის გადაწყვეტა უძრავი ქონების დარეგისტრირებასთან და შემდეგ გაყიდვასთან იყო დაკავშირებული, რაც

გარკვეულ დროს საჭიროებდა. ამასთან მას გადაეცა 10 000 (ათი ათასი) აშშ დოლარი ნ. ჯ.-ისათვის გადასაცემად.

2.13 ადვოკატის განმარტებით, მისი მხრიდან მორიგების აქტი გაფორმდა რწმუნებულების მესამე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე და უფლებამოსილების გადამეტებას ადგილი არ ჰქონია. რაც შეეხება ზიანს, მის მიერ გაფორმებული მორიგების აქტის საფუძველზე ნ. ჯ. იღებდა 100 000 აშშ დოლარის ოდენობით სარგებელს.

2.14 ადვოკატის განმარტებით, ნ. ჯ.-მ შეგნებულად შეუშალა ხელი საქმის დასრულებაში, რაც იმით იყო გამოწვეული, რომ კლიენტს არ გადაეხადა საადვოკატო მომსახურების გაწევისათვის განსაზღვრული ჰონორარი.

2.15 ადვოკატის განმარტებით, ნ. ჯ.-მ მორიგების პირობებზე უარი განაცხადა 2011 წლის 06 ივნისს და საქმის მასალების წაღების მიზნით, იმავე დღეს მის სამსახურში საპატრულო პოლიცია გამოიძახა.

2.16 ადვოკატი თვლის, რომ იგი საადვოკატო საქმიანობას ახორციელებდა საადვოკატო ხელშეკრულებისა და რწმუნებულების საფუძველზე კეთილსინდისიერად და ჯეროვნად. ნ. ჯ.-მ კი ხელი შეუშალა საქმის დამთავრებაში.

2.17 ადვოკატის განმარტებით, იგი აპირებს სარჩელის წარდგენას სასამართლოში და ნ. ჯ.ზე საადვოკატო მომსახურებისთვის განსაზღვრული 5000 აშშ დოლარის დაკისრებას. ვინაიდან ხელშეკრულების პირობების დარღვევა თვით ნ. ჯ.-ის არაკეთილსინდისიერი და არაჯეროვანი ქმედებით იყო გამოწვეული.

2.18 2011 წლის 9 სექტემბერს ეთიკის კომისიის პირველი დისციპლინური კოლეგიის, 2011 წლის 21 სექტემბერს ეთიკის კომისიის სხდომაზე გამოცხადდა ადვოკატი, არ დაეთანხმა საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილებას დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე, ამასთან დაკავშირებით წერილობით წარმოადგინა ახსნა-განმარტება და უპასუხა ეთიკის კომისიის წევრთა კითხვებს.

2.19 ადვოკატმა ეთიკის კომისიის 2011 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილების 4.1-4.8 პუნქტებთან დაკავშირებით განმარტა, რომ მისი ქმედებები მიმართული იყო კლიენტის ინტერესების დაცვისკენ და მისი მხრიდან სააღსრულებო ფურცლის დროულად და უდანაკარგოდ აღსრულებას შეეწყო ხელი. მან კონსულტაციები აწარმოა კლიენტთან სააღსრულებო ფურცლის აღსრულებასთან დაკავშირებით და ერთად მიიღეს გადაწყვეტილება. მეორე მხარის ადვოკატთან შეხვედრამდეც ესაუბრა ნ. ჯ.-ს და მან კიდევ მისცა უფლება ემოქმედა საქმის ინტერესებიდან გამომდინარე. შეხვედის შემდეგ, იმავე დღეს პირობები ტელეფონით აცნობა კლიენტს, რომელმაც მოიწონა ისინი. მორიგების გაფორმების შემდეგ კვლავ აჩვენა მორიგების აქტი ნ. ჯ.-ს. საჩივრის ავტორმა განუცხადა, რომ მისთვის მთავარი იყო თანხის მიღება და დეტალები არ აინტერესებდა.

2.20 ადვოკატის განმარტებით, მისმა კლიენტმა მისი რჩევის გათვალისწინებით თავად მიიღო გადაწყვეტილება, ხოლო მან მისი გადაწყვეტილების შემდეგ განახორციელა ყველა ის ქმედება, რაც სააღსრულებო ფურცლის აღსრულებას შეუწყობდა ხელს. ასევე ადვოკატი

ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მისი მხრიდან არ განხორციელებულა რაიმე ისეთი ქმედება, რაზეც საბოლოო გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული და კლიენტისათვის საბედისწერო შედეგს გამოიწვევდა. ადვოკატის მოსაზრებით, მის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური დევნა.

2.21 ადვოკატის განმარტებით, მორიგების თაობაზე მოლაპარაკებისას ჩიხში მოექცნენ, ვინაიდან დაახლოებით 30 მაისს იხილებოდა საქართველოს ბანკის სარჩელი და ვინაიდან მორიგებას ვერ მიაღწიეს 30 მაისამდე, ნ. ჯ.-ს აუხსნა, რომ სავალალო შედეგი დადგებოდა, ვინაიდან ბანკთან დადებულ ხელშეკრულებაში დაუყოვნებელი აღსრულების პირობა იყო ჩადებული. მორიგების თაობაზე მოლაპარაკება 3 თვის განმავლობაში უშედეგოდ გრძელდებოდა და პროცესი ბანკის სასამართლო დავამ დააჩქარა. ადვოკატმა ნ. ჯ.-ს 30 მაისს უთხრა, რომ დათმობაზე უნდა წასულიყვნენ. მათი მხრიდან დათმობა გამოიწვია იმან, რომ სააღსრულებო ფურცლის შეტანისას გართულდა საქმე, ვინაიდან ნ. ჯ.-ს მეუღლის სახელზე უძრავი ქონება არ ირიცხებოდა და ის ქონება, რომელიც სასამართლოს გადაწყვეტილებით უნდა დაერეგისტრირებინა, ფაქტიურად ვერ დაირეგისტრირა, რადგან საჯარო რეესტრში ნ. ჯ.-ს მიერ გადაწყვეტილების წარდგენამდე მოხდა ზ. ჯ.-ის მოვალეთა რეესტრში აღრიცხვა. მ. დ.-მ ნ. ჯ.-ს უთხრა, რომ მისაღებ 50 000 აშშ დოლარს აუცილებლად მიიღებდნენ, უბრალოდ შესაძლებელი იყო იმ ეტაპისთვის უკან დახევა დასჭირვებოდათ. იმ პერიოდის განმავლობაში, ნ. ჯ. თვითონ შეხვდა თავის მეუღლეს ბანკთან დაკავშირებული პრობლემის გამო, ბანკის წარმომადგენელს და მისი მეუღლის ნაცნობ ნოტარიუსს, თავად არ დასწრებია ამ შეხვედრას. ადვოკატის განმარტებით, მოწინააღმდეგე მხარესთან საუბრის შემდეგ მასთან რჩევისათვის მისულ ნ. ჯ.-ს უთხრა, რომ დასაკარგი არაფერი ჰქონდათ. მას არ უნდა დაეხია უკან, ზ. ჯ.-ს ჰქონდა აღსარიცხავი უძრავი ქონება, საიდანაც შეეძლოთ 50 000 აშშ დოლარის მიღება. ზ. ჯ.-ს წარმომადგენელმა ნ. ჯ.-ს მორიგების პირობის სახით ბანკის ვალის (იმ პერიოდისათვის ბანკის ვალი შეადგენდა 37 000 აშშ დოლარს) გადახდა და დამატებით 2000 აშშ დოლარი შესთავაზა სააღსრულებო წარმოების შეწყვეტის დათქმით. ადვოკატმა ნ. ჯ.-ს განუცხადა, რომ სააღსრულებო წარმოების მორიგებით დასრულების შემთხვევაში ამ თანხებს მიიღებდნენ და როგორც კი ზ. ჯ. თავის სახელზე დაირეგისტრირებდა იმ უძრავ ქონებებს, რომელიც მას სასამართლო გადაწყვეტილებით მიეკუთვნა, იმავე დღეს სარჩელსა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების თაობაზე განცხადებას შეიტანდა სასამართლოში.

2.22 ადვოკატის განცხადებით, მან კლიენტს აუხსნა, რომ არსებობდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც ზ. ჯ. მაინც დაირეგისტრირებდა ქონებას, თუმცა, ამისათვის შესაძლებელია წლების განმავლობაში დასჭირვებოდათ ლოდინი, ამიტომ ურჩია მორიგების იმ პირობებზე შეთანხმება, რადგან ბანკი არ აცდიდათ. ადვოკატის განმარტებით, მან აუხსნა კლიენტს, რომ უკან დახევა გამოიხატებოდა გარკვეულ კონკრეტულ ნაბიჯებში. ეს სააღსრულებო ფურცლის გამოხმობა იქნებოდა, შეჩერება იქნებოდა თუ რა ფორმითაც იქნებოდა ზ. ჯ.-ისათვის უნდა მიეცათ ქონებათა დარეგისტრირების უფლება. რეგისტრაციის შემდეგ ისინი ან იძულების წესით მოახდენდნენ თანხების ამოღებას ან ზ. ჯ. გადაიხდიდა 50 000 აშშ დოლარს. საშიშროების წინაშე არ იდგნენ, ვინაიდან შეეძლოთ მოეხდინათ იძულებითი აღსრულება. ერთადერთი საშიშროება იყო, რომ ზ. ჯ.-ს გაესხვისებინა ბათუმში მდებარე უძრავი ქონება, ისიც თუ 200 ლარიანი ქვითრით შევიდოდა საჯარო რეესტრში და იმავე დღეს დაირეგისტრირებდა.

2.23 ადვოკატის განმარტებით, შემდგომი მოლაპარაკებები მ. დ.-სა და ნ. კ.-ს შორის წარიმართა. 30 მაისს ნ. ჯ.-ის წასვლიდან 2 საათში, მ. დ.-ს დაურეკა ზ. ჯ.-ის ადვოკატმა და უთხრა, რომ შეხვედრილიყვნენ და ესაუბრათ. ამ შეხვედრის შესახებ ადვოკატმა შეატყობინა ნ. ჯ.-საც. მან მეორე მხარის ადვოკატს განუცხადა, რომ ყადაღაზე უარს არ იტყოდნენ და სხვა პირობებით შესთავაზა მორიგება. ნ. ჯ. სრულად იყო ინფორმირებული ნ. კ.-სა და მას შორის მიმდინარე შემოთავაზებებზე და ყველაფერს ერთად ათანხმებდნენ. ნ. ჯ. მასთან შეხვედრის შემდეგ წავიდა ამ სიტყვებით: ,,თქვენ ხართ ადვოკატი, მე თქვენ გენდობით და ყველაფერი უნდა გააკეთოთ ისე, რომ მე მივიღო ჩემი თანხა და არ დავზარალდე.“ კლიენტმა ჰკითხა ადვოკატს დარწმუნებული თუ იყო იმაში, რომ თანხას მიიღებდა. მ. დ.-მ უპასუხა: ,,მე ვუპასუხე, რომ 100 %-ით დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ თანხას არც ერთი თეთრი არ დააკლდებოდა, ისე მივიღებდით. დარწმუნებული ვარ-მეთქი ვუთხარი არა იმიტომ, რომ სხვა გარიგებებიც მქონდა, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებით ორი უძრავი ქონება იყო ამ პიროვნებაზე აღსარიცხი. იმ სააღსრულებო ფურცელს დღეს გამოვიხმობდი, დავკარგავდი 1 000 ლარს, ხვალ შევიტანდი უკვე ზედმეტი 1 000 ლარით, რომელსაც საბოლოო ჯამში ის მხარე დაფარავდა.“ მ. დ.-მ მოწინააღმდეგის ადვოკატს შეხვედრისას მორიგების პირობები შესთავაზა, რომელთა თანახმადაც სრულად მიიღებდნენ 50 000 აშშ დოლარს, ხოლო პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, ზ. ჯ. თვითონ გადაიხდიდა მომავალში წარსადგენი სააღსრულებო ფურცლის ხარჯებს. მათ სასარგებლოდ შესასრულებელი ყველა მოქმედება უნდა შესრულებულიყო, რაც შეეხება იმას, თუ რა დათმობაზე წავიდნენ, ეს მათ არ დათმეს, ზ. ჯ.-ს სასამართლომ მიაკუთვნა წილი.

2.24 ადვოკატის განმარტებით, 31 მაისს მორიგება შედგა. საღამოს ადვოკატმა კლიენტს უთხრა, რომ ზუსტად იმ პირობებით მოხდა მორიგების გაფორმება, რა პირობებიც აწყობდათ. მორიგების ყველა პირობა კიდევ ერთხელ გაიარეს ერთად. ნ. ჯ.-მ კიდევ უთხრა ადვოკატს ირონიულად ,,შენ რა გგონია ამ მორიგების პირობებს შეგისრულებს?“ ადვოკატის განმარტებით: ,,მეც ვიფიქრე, რაღა აზრი ჰქონდა მასთან საუბარს.“ ადვოკატის განმარტებით, მორიგების პირობების რამდენიმე ვარიანტი იყო განხილული და მან ამოარჩია მისი კლიენტისათვის ყველაზე ხელსაყრელი, ზ. ჯ.-ის მესაკუთრედ დარეგისტრირება მათ ინტერესებშიც შედიოდა, ვინაიდან ზ. ჯ.-ს ქონება არ ჰქონდა და 50 000 აშშ დოლარს ვერ იღებდნენ. მან სააღსრულებო ფურცელი დროებით გამოიხმო, რაც არ ნიშნავდა სააღსრულებო წარმოების შეწყვეტას. 6 ივნისს ზ. ჯ. დარეგისტრირდებოდა თუ არა ორივე ქონების მესაკუთრედ, მოიხსნებოდა მოვალეთა რეესტრში რეგისტრაცია და ზუსტად იმ დღეს, როდესაც მას გამზადებული სარჩელები უნდა შეეტანა სასამართლოში და ამაზე უნდა ესაუბრა ნ. ჯ.-სთან, მისთვის გაუგებარი მიზეზით საჩივრის ავტორი მასთან გაუქმებული რწმუნებულებით მივიდა.

2.25 ადვოკატის განმარტებით, 31 მაისს მის მიერ შედგენილი მორიგების აქტით აღსრულდა სასამართლოს გადაწყვეტილება, ნ. ჯ.-მ მიიღო, რაც უნდა მიეღო და რეალურად მიიღებდა, რომ არ შეეწყვიტა საქმის წარმოება. მან შეუშალა ხელი, არ დაეცადა ადვოკატს მორიგების აქტის შესრულება.

2.26 ადვოკატის განმარტებით, კლიენტთან შეთანხმებული იყო სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვა. იმ შესაძლებლობის არსებობის შემთხვევაშიც კი, რომ ის მართლაც არ შეთანხმებოდა კლიენტს და ისე გამოეხმო სააღსრულებო ფურცელი, ამით არ დამდგარა არანაირი სავალალო შედეგი. მის მეუღლეს დარეგისტრირებული ჰქონდა მის სახელზე

ქონება და მეორე დღესვე შეეძლო ნ. ჯ.-ს იმავე სააღსრულებო ფურცლით აღმასრულებლისადმი მიმართვა და მისი კუთვნილი 50 000 აშშ დოლარის მიღება.

2.27 ადვოკატის განმარტებით, მან მორიგების აქტის შედგენის თაობაზე 31 მაისს აცნობა კლიენტს ქალაქის ტელეფონით. ასევე უთხრა, რომ ზ. ჯ.-ისაგან მიიღო 10 000 აშშ დოლარი. მისი განცხადებით, ნ. ჯ. ინფორმირებული იყო, რომ მის საბანკო ანგარიშზე ინკასოს არსებობის გამო თანხა ადვოკატმა ხელზე მიიღო.

2.28 ადვოკატის განმარტებით, 2 ივნისს ზ. ჯ.-სთან ერთად წავიდა სააღსრულებო ბიუროში. იმავე დღეს გადასცა ზ. ჯ.-მ მას თანხა და სურდა მისი ნ. ჯ.-ის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვა, თუმცა, ნ. ჯ.-ის ანგარიშზე ინკასოს არსებობის გამო ადვოკატმა არჩია თანხა პირადად მიეღო მიღება-ჩაბარების აქტით და კლიენტის სურვილის შემთხვევაში ჩაერიცხა მის ანგარიშზე.

2.29 ადვოკატის განმარტებით, ნ. ჯ.-ის საბანკო ანგარიშზე ინკასოს არსებობის თაობაზე 31 მაისს შეიტყო, როდესაც საჩივრის ავტორმა განერვიულებულმა დაურეკა მას, რომ თანხა ვერ გამოჰქონდა ინკასოს არსებობის გამო. ადვოკატის განმარტებით, კლიენტს აუხსნა, რომ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხული თანხა ინკასოდადებულ თანხას აღემატებოდა და თანხა რაც რჩებოდა, მაინც უნდა მიეცათ მისთვის. ნ. ჯ.-მ საბოლოოდ შესძლო თანხის გამოტანა. მას შემდეგ მის ანგარიშზე არაფერი ჩარიცხულა. ადვოკატის მითითებით, ვინაიდან ნ. ჯ.-ის სააღსრულებო წარმოებას ახორციელებდა, იცოდა მისი საბანკო ანგარიშების მდგომარეობის შესახებ. თუ რაიმე ირიცხებოდა, ისიც მისი დიდი შრომის შედეგად.

2.30 ადვოკატის განმარტებით, ზ. ჯ.-მ 10 000 აშშ დოლარი არა სააღსრულებო მოთხოვნის ფარგლებში, არამედ მორიგების შემდეგ გადაიხადა, ისე არ გადაიხდიდა, ვინაიდან ვერ ახდენდა უძრავი ქონების საკუთარ სახელზე აღრიცხვას. იძულების წესით აღსრულება არ ხდებოდა. მათ მიერ სააღსრულებო ფურცლის გამოხმობის შემდეგ ამოირიცხა მოვალეთა რეესტრიდან და დაირეგისტრირა ქონება. ზ. ჯ.-ის მიმართ მორიგება შესრულდა, რაც შეეხება ნ. ჯ.-ს, მის მიმართ მორიგება ნაწილობრივ შესრულდა და დანარჩენ შესრულებაზე თავად თქვა უარი და ვეღარ შესრულდა.

2.31 ადვოკატის განმარტებით, მან ზ. ჯ.-ს უკან დაუბრუნა ნ. ჯ.-სათვის გასაცემად მიცემული 10 000 აშშ დოლარი. მას კლიენტთან არ შეუთანხმებია ზ. ჯ.-ისათვის თანხის დაბრუნება და ვერც შეუთანხმებდა, რადგან მინდობილობა იმავე დღეს გაუუქმა, რა დღესაც პრეტენზიები განუცხადა. 2 ივნისს საღამოს კიდევ დაურეკა ნ. ჯ.-ს და უთხრა, რომ შეთანხმება დასრულებული იყო, თანხა მას ჰქონდა და თუ კლიენტი შეძლებდა მასთან მისვლას, გადასცემდა. ადვოკატმა განმარტა, რომ მეორე დღეს ქალაქიდან გადიოდა და ორშაბათ დღეს შეხვედრა შესთავაზა. საქმის მასალების წასაღებად ადვოკატთან მისულ საჩივრის ავტორს, მ. დ.-მ კიდევ ერთხელ ურჩია თანხის მიღება, რაზეც ნ. ჯ.-მ უპასუხა, რომ არაფერი სურდა და თავის მეუღლეს გაამწარებდა.

2.32 ადვოკატის განმარტებით, თანხა, რომელიც 3-4 ივნისს მას ჰქონდა, წარმოადგენდა ნ. ჯ.-ის თანხას. იმის გამო, რომ ნ. ჯ.-მ თანხა არც მოითხოვა და არც მიიღო, დაუბრუნა იმას, კერძოდ, კლიენტის ყოფილ მეუღლეს - ზ. ჯ.-ს, ვისგანაც მიიღო 10 000 აშშ დოლარი, მას არ განუკარგავს სხვისი თანხა, დაპირისპირებულ მხარეს ისევ თავისი თანხა დაუბრუნა.

2.33 ადვოკატის განმარტებით, სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვის შემდეგ მეორე მხარის მიერ მორიგების პირობების შესრულების გარანტიას წარმოადგენდა ქონება.

2.34 ადვოკატის განმარტებით, ის ფაქტი, რომ 31 მაისიდან 6 ივნისამდე არავითარი ქმედება არ განხორციელებულა, გამოწვეული იყო თავად კლიენტის მიზეზით. იგი ზ. ჯ.-ის მიერ 2 ივნისიდან 6 ივნისამდე ვალდებულების შესრულებას ვერ გააკონტროლებდა, ვინაიდან მის მიერ ვალდებულების შესრულების ვადა არც ხელშეკრულებითა და არც მორიგების აქტით ყოფილა განსაზღვრული. 4 დღეში ზ. ჯ.-ის მიერ ნაკისრი ვალდებულებები ვერ შესრულდებოდა, ვინაიდან 4 დღე დასჭირდებოდა საჯარო რეესტრში ზ. ჯ.-ის საკუთრებად ქონების რეგისტრაციას. ამის შემდეგ ნ. ჯ.-მ ადვოკატთან შეწყვიტა ურთიერთობა. იგი ყველა პირობაზე წინააღმდეგი იყო, არაფრის მიღება არ სურდა.

2.35 ადვოკატის განმარტებით, ზ. ჯ.-მ ორი უძრავი ქონებიდან 200 ლარიანი ქვითრის გამოყენების შედეგად ერთ დღეში დაირეგისტრირა ბათუმში მდებარე ფართი და იმავე დღეს იპოთეკით დატვირთა. ადვოკატის განმარტებით, ამჟამად ზ. ჯ.-ის საკუთრებად რიცხული ორივე უძრავი ქონება იპოთეკითაა დატვირთული. ერთი ბანკის ვალის გამო ადვოკატის საქმეში ჩართვისას უკვე დატვირთული იყო იპოთეკით, ხოლო მეორე თავად ზ. ჯ.-მ დატვირთა უფლებრივად.

2.36 ადვოკატის განმარტებით, საადვოკატო მომსახურების შეთანხმებაში ჰონორარად მხოლოდ 1000 ლარი ასახეს, ვინაიდან თავიდან არ იცოდნენ, თუ როგორ დასრულდებოდა დავა. საქმის წარმატებით მიმდინარეობის გამო, მხარეთა შორის მოხდა ზეპირსიტყვიერი შეთანხმება ,,წარმატების ჰონორარის“ თაობაზე. მას შემდეგ, რაც 50 000 აშშ დოლარის თაობაზე გადაწყვეტილება აღსრულდებოდა, დასრულდებოდა საქმე ამ კონკრეტულ დავაზე, ადვოკატს უნდა მიეღო 5 000 აშშ დოლარი. ეს თანხა უნდა მიეღო პროცესუალური მოწინააღმდეგის - ზ. ჯ.-ის მიერ მორიგების ფარგლებში გადაცემული 10 000 აშშ დოლარიდან. სხვა თანხა ბანკში გადაირიცხებოდა. კლიენტი არ იყო ამ თანხის ადვოკატისათვის გადახდის წინააღმდეგი.

2.37 ადვოკატმა 10 000 აშშ დოლარისა და 3 858 აშშ დოლარის გადახდის ვადების თაობაზე განმარტა, რომ 10 000 აშშ დოლარის მიღების წინაპირობას წარმოადგენდა მათ მიერ სააღსრულებო ფურცლის გამოხმობა. რაც შეეხება თანხის მეორე ნაწილის გადახდის ვადას, ჯერ უნდა მომხდარიყო თანხის გადახდა, თუ უძრავი ქონების წილთა რეგისტრაცია, ადვოკატმა აღნიშნა, რომ მორიგების აქტში მხარეებს ვადა არ აქვთ დაფიქსირებული, თუმცა ზ. ჯ.-ს უძრავი ქონების გასასხვისებლად კლიენტი ნანახი ჰყავდა და ელოდებოდა ქონების დარეგისტრირებას. თანხა პრაქტიკულად იდო, როგორც კი ზ. ჯ. 4 დღეში დაირეგისტრირებდა ამ ქონებას, მაშინვე თავის საკუთარ ½ წილს გაასხვისებდა უცხოელზე, რომელიც გადაუხდიდა 40 000 აშშ დოლარს. სასამართლომ საქართველოს ბანკის სარჩელისა გამო ნ. ჯ.-ის წინააღმდე სასამართლო სხდომა 30 მაისს გადაადო და ჩანიშნა 14 ივნისს, ამ დროისთვის ყველა პროცედურა დამთავრებული უნდა ყოფილიყო.

2.38 ადვოკატის განმარტებით, რომ არა მორიგების ასეთი პირობა, ნ. ჯ. ვერ ახერხებდა სხვა გზით ზ. ჯ.-ისაგან სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხის - 50 000 აშშ დოლარის

მიღებას. საჩივრის ავტორს არ სურდა 10 000 აშშ დოლარის მიღება და ადვოკატს სხვა არაფრის გაკეთება შეეძლო.

2.39 ადვოკატის განმარტებით, მორიგების შედგენისას რისკ-ფაქტორებს ვერ ხედავდა, რადგან რისკ-ფაქტორები არ არსებობდა. უძრავი ქონების რეგისტრაციის შედეგად ზ. ჯ.-მ 10 000 აშშ დოლარი ხელზე გადასცა. მეტი არც ღირდა ის ქონება. ერთი უძრავი ქონება დატვირთული იყო იპოთეკით ბანკის ვალის გამო და მეორე უძრავ ქონებას, რომელსაც მხარე დაირეგისტრირებდა, მისი ღირებულება 10 000 აშშ დოლარის სახით უკვე მას ჰქონდა. შესაბამისად, არანაირი რისკი არ არსებობდა.

2.40 ადვოკატის განმარტებით, მისთვის ნ. ჯ.-ს მორიგების პირობების შესრულებისას რომ არ შეეშალა ხელი, შედეგი დადგებოდა. მან 100 %-ით მოიგო საქმე, რომელიც დაწყებული ჰქონდა და 100 %-ით მოიგებს იმას, რომელზედაც სარჩელები შეტანილი აქვს. მხარემ მინდობლობა გაუუქმა მაშინ, როდესაც მისთვის უნდა გადაეხადა მომსახურების თანხა.

2.41 ადვოკატის განმარტებით, მის ყოფილ კლიენტს ზიანი არ მისდგომია. მას 50 000 აშშ დოლარი ხელთ ჰქონდა, მაგრამ უარი თქვა მის მიღებაზე. რაც შეეხება, ნ. ჯ.-ის მოთხოვნას ზ. ჯ.-ის მიმართ, დღესაც პერსპექტიულია, ვინაიდან მის სახელზე ირიცხება ორი უძრავი ქონება, რაც არ ირიცხებოდა მათ მიერ სააღსრულებო ფურცლის შეტანისას და შესაძლებელია იძულებითი აღსრულება.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია

3.1 2011 წლის 12 ივლისის გადაწყვეტილებით ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების დადასტურების შემთხვევაში, ადვოკატ მ. დ.-ის მიერ შეიძლება დარღვეულად ჩათვლილიყო ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3, მე-5 და მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი.

3.3 საპროცესო კოლეგიამ მიიჩნია, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისთვის გაცემული მინდობილობის მიუხედავად, კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ერთპიროვნულად. თბილისის სააღსრულებო ბიუროდან სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვა შესაძლებელია შეფასდეს, როგორც კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო, რადგან დასაშვებია აღნიშნული ქმედება არ იყო კლიენტთან შეთანხმებული. არსებობს საკმარისი საფუძველი იმის სავარუდოდ, რომ კლიენტის ინტერესს იმ ეტაპზე შესაძლოა არ წარმოადგენდა სააღსრულებო ბიუროდან სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვა. აღნიშნული ქმედებით შესაძლებელია კლიენტს მისდგომოდა ზიანი. საპროცესო კოლეგიამ განმარტა, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის საწინააღმდეგო ქმედებების განხორციელება შესაძლებელია შეფასდეს კლიენტის მიერ ადვოკატისათვის მინიჭებული მინდობილობის ბოროტად გამოყენებად და უარყოფითად აისახოს კლიენტსა და ადვოკატს შორის ნდობაზე დაფუძნებულ ურთიერთობაზე. მოცემულ შემთხვევაში, ნ.

ჯ.-მ გაუუქმა ადვოკატ მ. დ.-ს მინიჭებული რწმუნებულება მას შემდეგ, რაც მან სააღსრულებო ფურცელი გამოიხმო.

4. განხილვის კოლეგიის პოზიცია

ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2011 წლის 22 ივლისის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა პირველ დისციპლინურ კოლეგიას. პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2011 წლის 9 სექტემბერს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების 36-ე მუხლით, 2011 წლის 13 სექტემბრის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმის ფატობრივი გარემოებები

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი მ. დ. იცავდა ნ. ჯ.-ის ინტერესებს 2010 წლის 6 აგვისტოდან სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით, ასევე სააღსრულებო წარმოებისას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საადვოკატო მომსახურების შესახებ შეთანხმება 06.08.2010
2. რწმუნებულება 02.08.2010

5.1.2 ადვოკატმა მ. დ.-მ 2011 წლის 31 მაისს ნ. ჯ.-ის მოწინააღმდეგე მხარესთან გააფორმა მორიგების აქტი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატის ახსნა–განმარტება (აბზაცები 2.24, 2.25, 2.27)
2. მორიგების აქტი 31.05.2011

5.1.3 ადვოკატმა მ. დ.-მ 2011 წლის 6 ივნისს სააღსრულებო ბიუროდან გამოიხმო სააღსრულებო ფურცელი.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. სააღსრულებო ფურცლის შეუსრულებელი სახით დაბრუნების მოთხოვნით განცხადება 02.06.2011

5.1.4 ზ. ჯ.-მ სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვიდან 4 დღეში, 6 ივნისს საკუთრების უფლება დაირეგისტრირა უძრავი ქონების ½ წილზე: ქ. ბათუმი, მ.-ის ქ.#Xა და იმავე დღეს აღნიშნული უძრავი ქონება იპოთეკით დატვირთა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:

1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #xx.xx.xx.xxx.xx.xxx

5.1.5 ადვოკატმა მ. დ.-მ მორიგების ფარგლებში, ზ. ჯ.-ისაგან 2 ივნისს ხელზე მიიღო 10 000 აშშ დოლარი ნ. ჯ.-ისათვის გადასაცემად, თანხა არ ჩარიცხა კლიენტის საბანკო ანგარიშზე და მოგვიანებით კლიენტთან შეთანხმების გარეშე დაუბრუნა აღნიშნული თანხა ზ. ჯ.-ს. ზ. ჯ.-მ მორიგების პირობების თანახმად ნაკისრი ვალდებულება, თანხის მეორე ნაწილის 40 000 აშშ დოლარის გადახდის თაობაზე არ შეასრულა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. ადვოკატის ახსნა–განმარტება (11.10.11 ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი გვ.11, 1-ლი აბზაცი; გვ.12, მე-6 აბზაცი; გვ. 12, მე-8 აბზაცი; გვ.13, მე-11 აბზაცი; აბზაცი 9.09.11 პირველი დისციპლინური კოლეგიის სხდომის ოქმი გვ.13, 1-ლი აბზაცი, გვ.14, აბზაცი 14, გვ.15, აბზაცი 14)
2. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება (11.10.11 ეთიკის კომისიის სხდომის ოქმი გვ.3, მე-5 აბზაცი, გვ.4, 1-ლი აბზაცი, გვ.6, მე-9 აბზაცი; გვ.17. 1-ლი)
3. ნ. ჯ.-ის საბანკო ანგარიშიდან ამონაწერი 01/01/2011-04/10/2011

5.1.6 ნ. ჯ.-მ გაუუქმა ადვოკატს რწმუნებულება 2011 წლის 6 ივნისს.

1. სანოტარო აქტი რწმუნებულების გაუქმების თაობაზე 06.06.2011

5.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

5.2.1 ადვოკატმა მორიგების აქტის პირობები ხელმოწერამდე დეტალურად არ გააცნო კლიენტს. მ. დ.-მ ისე დაიწყო მორიგების აქტის შესრულება, რომ ხელმოწერილი ტექსტი წინასწარ არ წააკითხა კლიენტს და მისი პირობები არ იყო მოწონებული ნ. ჯ.-ის მიერ.

ეთიკის კომისიას მოცემული გარემოება მიაჩნია სადავოდ, რადგან საჩივრის ავტორსა და ადვოკატ მ. დ.-ს განსხვავებული პოზიციები გააჩნიათ მოცემულ გარემოებასთან დაკავშირებით.

ა) ნ. ჯ.-ის განმარტებით, საუბარი მიმდინარეობდა მორიგებაზე და ზოგადად თანახმა იყო მორიგებოდა მოწინააღმდეგე მხარეს, მაგრამ წინააღმდეგი იყო სადავო წილების ზ. ჯ.-ის სახელზე აღრიცხვისა, სანამ არ მოხდებოდა მის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხის გადახდა (11.10.11 სხდომის ოქმი გვ.5, მე-6 აბზაცი). ნ. ჯ.-ის განცხადებით, მან არ იცოდა, რომ 2011 წლის 31 მაისს გაფორმდა მორიგების აქტი, ასევე ის, რომ მის ერთ-ერთ პირობას წარმოადგენდა სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვა. ადვოკატს აღნიშნული მისთვის არ უთქვამს. ნ. ჯ.-ის განმარტებით, არ ყოფილა მასთან შეთანხმებული მორიგების აქტის შესრულების დაწყება და ადვოკატის მიერ სააღსრულებო ფურცლის 2 ივნისს გამოთხოვის თაობაზე, სააღსრულებო ბიუროში 2011 წლის 6 ივნისს მისვლის შემდეგ შეიტყო (13.06.11 ნ. ჯ.-ის საჩივარი; 11.10.11 სხდომის ოქმი გვ.3, მე-5 აბზაცი, გვ.5, მე-4 აბზაცი, გვ.6. მე-11 აბზაცი).

ბ) ადვოკატის განმარტებით, მორიგების პირობები განიხილა კლიენტთან, როგორც მორიგების აქტის დადებამდე, ასევე მის შემდეგ. მის კლიენტთან ყველაფერი შეთანხმებული იყო (ადვოკატის ახსნა-განმარტება, გვ.6, 11.10.11 სხდომის ოქმი გვ.9, 1-ლი აბზაცი, გვ.10, მე-3 აბზაცი, გვ.11. 1-ლი აბზაცი).

გ) ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატის ახსნა-განმარტებებში და განხილვის კოლეგიის სხდომაზე წარმოდგენილი პოზიციებიდან გამომდინარე, ნ. ჯ. ზოგადად ინფორმირებული იყო მორიგების პირობების თაობაზე, ადვოკატი განუმარტავდა მას მისთვის სასარგებლო გარემოებებს, მაგრამ აღნიშნული არ გულისხმობს, რომ ნ. ჯ. მორიგების აქტის პირობებს ხელმოწერამდე დეტალურად იცნობდა და მათზე თანახმა იყო, ხოლო შემდეგ გაეცნო 31 მაისს დადებულ მორიგების აქტს და თანახმა იყო სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვაზე. ადვოკატი დასაბუთებისას ყურადღებას ამახვილებს ისეთ გარემოებებზე, როგორიცაა: იგი რწმუნებულებით უფლებამოსილი იყო დაედო მორიგება, (24.06.11 ადვოკატის შეპასუხება გვ.3, მე-5 აბზაცი), მის კლიენტს მორიგების აღნიშნული პირობებით არ მისდგომია ზიანი (ადვოკატის ახსნა-განმარტება გვ.7), ვინაიდან ზ. ჯ.-ს აღნიშნული წილები სასამართლოს გადაწყვეტილებით ჰქონდა მიკუთვნებული და ადრე თუ გვიან მათ დაირეგისტრირებდა (09.09.2011 სხდომის ოქმი გვ.11), ნ. ჯ.-ის ინტერესს შეადგენდა თანხის მიღება და ყოველთვის ირონიულად ეუბნებოდა, რომ მას არ აინტერესებდა ფორმალურად როგორ შეძლებდა ადვოკატი მისთვის ამ თანხის მიღებას, ზ. ჯ. მორიგების პირობებს არ შეასრულებდა (11.10.11 სხდომის ოქმი გვ.10, მე-3 აბზაცი, გვ.11, 1-ლი აბზაცი), მ. დ.-ის სიტყვებია ,,მასთან საუბარს რაღა აზრი ჰქონდა“ (11.10.11 სხდომის ოქმი გვ.11, 1-ლი აბზაცი), ადვოკატმა აუხსნა კლიენტს, რომ უკან დახევა გამოიხატებოდა გარკვეულ კონკრეტულ ნაბიჯებში: ეს სააღსრულებო ფურცლის გამოხმობა იქნებოდა, შეჩერება იქნებოდა, თუ რა ფორმითაც იქნებოდა იმ ადამიანისთვის უნდა მიეცათ ქონებათა დარეგისტრირების უფლება (11.10.11 სხდომის ოქმი გვ.10, მე-5 აბზაცი). ადვოკატი მ. დ. თავად აღნიშნავს, რომ მოვლენები სწრაფად განვითარდა და მორიგების აქტი 31 მაისს მასსა და მოწინააღმდეგე მხარის ადვოკატს შორის გაფორმდა, (11.10.11 სხდომის ოქმი გვ.11, 1-ლი აბზაცი), ხოლო მორიგების შემდეგ მისი პირობები ქალაქის ტელეფონით აცნობა კლიენტს და უთხრა, რომ მორიგება მისთვის სასარგებლო პირობებით დაიდო (11.10.11 სხდომის ოქმი გვ.11, 1-ლი აბზაცი).

ეთიკის კომისია დადგენილად მიიჩნევს, რომ ადვოკატმა ნ. ჯ.-ს მორიგების აქტის პირობები ხელმოწერამდე დეტალურად არ გააცნო, ასევე მორიგების ხელმოწერის შემდეგაც ისე დაიწყო მორიგების აქტის შესრულება, რომ ხელმოწერილი ტექსტი წინასწარ არ წააკითხა კლიენტს და მისი პირობები არ იყო მოწონებული ნ. ჯ.-ის მიერ.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტება (11.10.11 სხდომის ოქმი გვ.5, მე-6 აბზაცი; 13.06.11 ნ. ჯ.-ის საჩივარი; 11.10.11 სხდომის ოქმი გვ.3, მე-5 აბზაცი, გვ.5, მე-4 აბზაცი, გვ.6. მე-11 აბზაცი).

2. ადვოკატის ახსნა-განმარტება (ადვოკატის ახსნა-განმარტება, გვ. 6, 24.06.11 ადვოკატის შეპასუხება გვ.3, მე-5 აბზაცი; ადვოკატის ახსნა-განმარტება გვ.7; 11.10.11 სხდომის ოქმი გვ.9, 1-ლი აბზაცი, გვ.10, მე-3 აბზაცი; გვ.10, მე-3 აბზაცი; გვ.10, მე-5 აბზაცი; გვ.11, 1-ლი აბზაცი).

6 შემაჯამებელი დასკვნა

საქართველო ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ მ. დ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7 სამართლებრივი შეფასება

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ მ. დ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის ,,ა“ და ,,ე“ პუნქტები, რომლის თანახმად ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები“ და ,,ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი“-ს მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

7.1.2 ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან.“

7.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–3 პუნქტი: ,,ადვოკატს უფლება არა აქვს კლიენტს მისცეს გარანტიები მისგან აღებული საქმის შედეგებთან დაკავშირებით“.

7.2.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–8 მუხლის მე–13 პუნქტი: ,,ნებისმიერი ფულადი სახსრები ან ქონება, რომელსაც კლიენტი მიანდობს ადვოკატს უნდა ინახებოდეს დამოუკიდებლად ადვოკატის პირადი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან და იმართებოდეს კეთილსინდისიერად. ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მოთხოვნისთანავე მიაწოდოს ანგარიშგება.“

7.2 მოცემულ შემთხვევაში ნ. ჯ.-მ ადვოკატ მ. დ.-ს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებისა და რწმუნებულების თანახმად მიანიჭა უფლებამოსილება დაეცვა მისი ინტერესები სამოქალაქო და ადმინიტრაციულ საქმეებთან დაკავშირებით, მათ შორის საქმე ეწარმოებინა სააღსრულებო ბიუროში.

7.3 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ ადვოკატმა უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და არ მიიღოს გადაწყვეტილება, რომელიც შესაძლოა ეწინააღმდეგებოდეს კლიენტის ინტერესებს.

7.4 ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე #022/11, 2011 წლის 3 ივნისის გადაწყვეტილებით დაადგინა: ,,ადვოკატის მიერ საქმის წარმოებისას კლიენტი უნდა იღებდეს მის საქმესთან

დაკავშირებით არსებით გადაწყვეტილებებს..., ხოლო ადვოკატი უნდა იყოს მისი მრჩეველი და წარმომადგენელი. ...ადვოკატის მიერ კლიენტისათვის მიცემული რჩევა და განხორციელებული წარმომადგენლობა შესაბამისობაში უნდა იყოს კლიენტის ინტერესებთან და მიზნად უნდა ისახავდეს კლიენტის ინტერესების დაცვას. კლიენტის ინტერესებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღება ადვოკატის მიერ უნდა განხორციელდეს კლიენტთან შეთანხმებით და არა ადვოკატის მიერ ერთპიროვნულად".

7.5 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ კლიენტის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულებით უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად, ადვოკატი ვალდებულია კლიენტთან შეათანხმოს საქმის წარმოებისას მის მიერ განსახორციელებელი მოქმედებები.

7.6 ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე #057/10 2011 წლის 8 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა: ,,ადვოკატისა და კლიენტის ურთიერთობა უნდა იყოს კლიენტზე ორიენტირებული, რაც გულისხმობს, რომ ადვოკატმა და კლიენტმა თანაბრად უნდა გაინაწილონ გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა და თანაბრად უნდა იყვნენ ჩართულნი კლიენტის საქმესთან დაკავშირებით ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებაში. ყველა სახის გადაწყვეტილება, რომელმაც შესაძლოა მოახდინოს ან არ მოახდინოს კლიენტის ინტერესებზე ზეგავლენა, უნდა იქნას მოწონებული კლიენტის მიერ."

7.7 მოცემულ შემთხვევაში ადვოკატმა მ. დ.-მ ისე დადო მორიგების აქტი მოწინააღმდეგე მხარესთან, რომ მორიგების კონკრეტული პირობები მორიგების ხელმოწერამდე არ გააცნო თავის კლიენტს, მორიგება კი ისე აღასრულა, რომ ხელმოწერილი ტექსტი წინასწარ არ წააკითხა ნ. ჯ.-ს და მისი პირობები არ იყო მოწონებული კლიენტის მიერ. ეთიკის კომისიის მიერ თბილისის სააღსრულებო ბიუროდან სააღსრულებო ფურცლის გამოტანა ფასდება, როგორც კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგო ქმედება, რადგან აღნიშნული არ იყო კლიენტთან შეთანხმებული და მის მიერ მოწონებული. მართალია, ადვოკატი მ. დ. ნ. ჯ.-ის მიერ მინიჭებული რწმუნებულების მესამე მუხლის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე უფლებამოსილი იყო მორიგება გაეფორმებინა მეორე მხარესთან, რაზეც თანხმობა ნ. ჯ.-მაც გამოთქვა, მაგრამ ეს არ მოიცავს იმ უფლებამოსილებას, რომ მას კლიენტთან პირობების დეტალურად შეთანხმების გარეშე დაედო და შემდეგ მისი თანხმობის გარეშე დაეწყო მორიგების პირობების შესრულება. ადვოკატისთვის ცნობილი იყო რისკი, რომ სააღსრულებლო ფურცლის გამოტანის შემდეგ არსებობდა საფრთხე, რომ მოწინააღმდეგე მხარეს შეეძლო მოეთხოვა დაჩქარებული რეგისტრაცია და შემდეგ გაესხვისებინა ან დაეტვირთა მისთვის მიკუთვნებული ქონება და არ გადაეხადა მასზე დაკისრებული თანხა, რაც მან გააკეთა კიდევაც ყადაღის მოხსნის შემდეგ, მაგრამ ამის თაობაზე ადვოკატს კლიენტისთვის არ შეუტყობინებია, დამატებით მან ცხადად და ერთმნიშვნელოვნად არ აუხსნა კლიენტს, რომ მორიგება ითვალისწინებდა აღსრულების შეწყვეტას და თუ რა შედეგები მოჰყვებოდა ამას. ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატის მიერ ამ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა და რისკების თაობაზე კლიენტისთვის ინფორმაციის მიუწოდებლობა და ნაცვლად ამისა, კლიენტის დარწმუნება, რომ მორიგება 100% შესრულდებოდა, გამოწვეული იყო მორიგების მიღწევის სურვილით და ასევე მორიგების შედეგად მისაღები 10 000 აშშ დოლარიდან საკუთარი წარმატების ჰონორარის – 5 000 აშშ დოლარის მიღების სურვილით

7.8 საპროცესო კოლეგია თვლის, რომ ადვოკატის მიერ კლიენტის ინტერესების საწინააღმდეგოდ მიღებულმა გადწყვეტილებებმა შესაძლებელია გამოუსწორებელი ზიანი

მიაყენოს კლიენტს, რადგან ადვოკატის მიერ კლიენტის სახელით განხორციელებული მოქმედებები მესამე პირების მიერ განიხილება, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და როგორც წესი, ეჭვქვეშ არ დგება ადვოკატის საიმედოობა და კეთილსინდისიერება. განსახილველ შემთხვევაში ადვოკატ მ. დ.-ის მიერ წარდგენილი განცხადება სააღსრულებო ფურცლის გამოთხოვის თაობაზე დაკმაყოფილდა, რადგან იგი სააღსრულებო ბიუროს მიერ მიჩნეულ იქნა, როგორც კლიენტის ნების გამოხატულება და ამ გზით ზიანი მიადგა კლიენტის ინტერესებს.

7.9 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატის მიერ სააღსრულებო ფურცლის გამოტანის შედეგად მოწინააღმდეგე მხარის მიმართ მორიგება სრულად შესრულდა, ხოლო განმცხადებლის მიმართ მორიგება მხოლოდ ნაწილობრივ შესრულდა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა ნ. ჯ.-ის ინტერესებს. კერძოდ: ზ. ჯ.-მ სააღსრულებო წარმოების შეწყვეტისა და მოვალეთა რეესტრიდან ამორიცხვის შედეგად შეძლო ორივე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების რეგისტრაცია. მისი საკუთრების ერთი წილი, მდებარე თბილისი, ტ. ტ.-ის ქ. #XX საქართველოს ბანკის ვალის გამო იპოთეკით იყო დატვირთული, ხოლო მან დაჩქარებული წესით საკუთრების უფლების რეგისტრაციის დღესვე, იპოთეკით დატვირთა მეორე უძრავი ქონების 1/2 წილი მდებარე ბათუმი, მ.-ის ქ. #Xა. ნ. ჯ.-ის სასარგებლოდ სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული 50 000 აშშ დოლარი, რომელიც მორიგების პირობების თანახმად, ზ. ჯ.-ს საქართველოს ბანკისთვის ნ. ჯ.-ის ვალის გამო უნდა გადაეხადა, მან არც ნებაყოფლობით გადაიხადა და სასამართლოს გადაწყვეტილების იძულებითი წესით აღსრულებაც მნიშვნელოვნად გართულდა სააღსრულეობო ფურცლის გამოტანის შემდეგ უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის გამო. საქართველოს ბანკის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ნ. ჯ.-ის უძრავი ქონება საჯარო აუქციონის წესით იყიდება. ამავე დროს, საჩივრის ავტორმა დაკარგა სააღსრულებო მომსახურების საფასური 1292 ლარის ოდენობით, რომელიც ერთხელ უკვე გადაიხადა, მაგრამ აღსრულების პროცესის თავიდან დაწყების შემთხვევაში ის ვალდებული იქნება კვლავ გადაიხადოს აღნიშნული თანხა.

7.10 ეთიკის კომისია ადვოკატის მიერ კლიენტისათვის გარანტიის მიცემის აკრძალვის პრინციპთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ადვოკატის მიერ საქმის 100 %–იანი წარმატებით დასრულების შეპირება განსხვავდება აღნიშნული შედეგის მიღწევის მიზნით კვალიფიციური სამართლებრივი მომსახურების გაწევის შეპირებისაგან. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ მ. დ.-ის სიტყვები: ,,მან მკითხა დარწმუნებული თუ ვიყავი იმაში, რომ ამ თანხას მიიღებდა. მე ვუპასუხე, რომ 100 %-ით დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ თანხას არც ერთი თეთრი არ დააკლდებოდა ისე მივიღებდით. დარწმუნებული ვარ მეთქი ვუთხარი არა იმიტომ, რომ სხვა გარიგებებიც მქონდა, არამედ სასამართლო გადაწყვეტილებით ორი უძრავი ქონება იყო ამ პიროვნებაზე აღსარიცხი. იმ სააღსრულებო ფურცელს დღეს გამოვიხმობდი, დავკარგავდი 1 000 (ათას) ლარს, ხვალ შევიტანდი უკვე ზედმეტი 1 000 (ათასი) ლარით, რომელსაც საბოლოო ჯამში ის მხარე დაფარავდა“ - წარმოადგენს კლიენტისათვის გარანტიის მიცემას გადაწყვეტილების აღსრულების ეტაპზე თანხის მიღების თაობაზე და არა საადვოკატო მომსახურების კვალიფიციურად წარმართვის დაპირებას. ადვოკატმა კლიენტს სააღსრულებო პროცესში აღსრულების 100% გარანტიის მიცემა განპირობებული იყო იმით, რომ ადვოკატს კლიენტისთვის შეექმნა რწმენა იმისა, რომ მორიგების აქტზე ის უნდა დათანხმებულიყო, მაშინ როდესაც არსებობდა მორიგების აღსრულებასთან დაკავშირებული ადვოკატის მიერ გაცნობიერებული რისკი, რომ მეორე მხარეს შეეძლო ქონების დაჩქარებული რეგისტრაციის და დატვირთვის წესით თავიდან აეცილებინა მორიგების შესრულება თავისი მხრიდან. საქმეზე გარანტიის მიცემა

კლიენტისთვის, იქნება ეს სასამართლო პროცესი თუ ადმინისტრაციული საქმისწარმოება, მაშინ როდესაც ადვოკატის მიერ დაპირებული პირობები არ სრულდება, იწვევს ნდობის დაკარგვას ადვოკატთა პროფესიისადმი და, დამატებით, მართლმსაჯულების სისტემის დისკრედიტაციას. ამიტომ ეს აკრძალულია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით და ადვოკატემა მკაცრად უნდა დაიცვან ეს აკრძალვა, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ადვოკატებმა არ შეიძლება აცნობონ კლიენტს საქმესთან დაკავშირებული ამა თუ იმ რისკის დონის და პროცესის სავარაუდო დასრულების მათი შეფასების შესახებ.

7.11 ეთიკის კომისია კლიენტის მიერ მინდობილი ქონების აღრიცხვისა და დამოუკიდებლად შენახვის ვალდებულებას ფართოდ განმარტავს და აღნიშნავს, რომ იგი მოიცავს მესამე პირის მიერ ადვოკატისათვის კლიენტისათვის გადასაცემი თანხის საკუთარი ფულადი სახსრების ან ქონებისაგან დამოუკიდებლად შენახვისა, მისი კეთილსინდისიერად მართვის და კლიენტისთვის დაბრუნების ვალდებულებასაც.

7.12 მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატმა მ. დ.-მ მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარისაგან ნ. ჯ.-ისათვის გადასაცემად 2 ივნისს ხელზე მიიღო 10 000 აშშ დოლარი, რომელიც მას ჰქონდა 14 ივლისამდე. 14 ივლისს ადვოკატმა თანხა დაუბრუნა ზ. ჯ.-ს. ადვოკატმა ეს თანხა მოწინააღმდეგე მხარისგან მიიღო მორიგების აქტით განსაზღვრული ერთ–ერთი ვალდებულების შესრულების მიზნით და ეს თანხა ეკუთვნოდა მის კლიენტს, როგორც მორიგების აქტის მხარეს და ამ ვალდებულების შესრულების ბენეფიციარ პირს. ადვოკატი ადასტურებს იმ გარემობას, რომ მისთვის ცნობილი იყო ნ. ჯ.-ის საბანკო ანგარიშის ნომერი, მაგრამ საბანკო ანგარიშზე ინკასოს არსებობის გამო არჩია ხელზე მიეღო თანხა. ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს ადვოკატის განცხადებაზე, რომ 31 მაისს ნ. ჯ.-ს განუმარტა, რომ ბანკს უნდა მიეცა მისთვის ინკასოს ზევით ანგარიშზე არსებული თანხა, რის შემდეგად საჩივრის ავტორმა შესაძლო თანხის გამოტანა. აღნიშნული ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატისათვის ცნობილი იყო ინკასო მხოლოდ 1 000 ლარამდე თანხას ედო და ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს ადვოკატის პოზიციას თანხის ხელზე მიღებასთან დაკავშირებით, ვინაიდან ინკასოს არსებობა არ აბრკოლებდა ადვოკატს, თანხა კლიენტის საბანკო ანგარიშზე ჩაერიცხა. ეთიკის კომისია აღნიშნულ გარემოებას ადვოკატის მიერ ჰონორარის სახით 5 000 აშშ დოლარის ამ 10 000 აშშ დოლარიდან მიღების სურვილს უკავშირებს.

7.13 ადვოკატი აღიარებს, რომ 2 ივნისიდან 6 ივნისამდე თანხა ნ. ჯ.-ის საკუთრებას წარმოადგენდა, რასაც ეთანხმება ეთიკის კომისია, მაგრამ ის ვერ დაეთანხმება ადვოკატის მოსაზრებას, რომ ნ. ჯ.-ის მიერ თანხის მიღებაზე უარის თქმისა და 6 ივნისს რწმუნებულების გაუქმების შედეგად, მას აღარ ეკისრებოდა ვალდებულება კლიენტისათვის გადაეცა თანხა და მართლზომიერი იყო თანხის მეორე მხარისთვის დაბრუნება.

7.14 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ნ. ჯ.-ის მიერ თანხის არ მიღება, მის მიერ ადვოკატისათვის რწმუნებულების გაუქმება არ გულისხმობდა თანხის მესაკუთრის შეცვლას. ადვოკატს 2011 წლის 7 ივლისიდან აღარ ევალებოდა ნ. ჯ.-ის ინტერესების დაცვა, მაგრამ ეს არ ათავისუფლებდა ადვოკატს კლიენტის მიმართ იმ ვალდებულების შესრულებისაგან, რომელიც წარმოეშვა რწმუნებულების გაუქმებამდე - მორიგების აქტის პირობების თანახმად მიღებული თანხის კეთილსინდისიერად შენახვისგან და მისი კლიენტისათვის გადაცემისაგან. მეორე მხარის მიმართ მორიგება შესრულდა. მან ვალდებულების ერთი ნაწილი, ნ. ჯ.-ისთვის 10 000 აშშ დოლარის გადახდასთან დაკავშირებით შეასრულა და

ადვოკატს ერთის მხრივ, ევალებოდა შეეთანხმებინა კლიენტთან თანხის ხელზე მიღების გარემოება, ასევე დაეზუსტებინა იღებდა თუ არა თანხას, უარის შემთხვევაში კი მიემართა სსკ–ს 434–ე მუხლით გათვალისწინებული დეპონირებით ვალდებულების შეწყვეტის საშუალებისთვის. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატს ნ. ჯ.-ის კუთვნილი თანხა უნდა გადაერიცხა კლიენტის მისთვის ცნობილ ანგარიშზე, ან შეეტანა ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე, რაც გაათავისუფლებდა მის მიმართ არსებული ვალდებულებისაგან. ადვოკატს არცერთ შემთხვევაში არ ჰქონდა უფლებამოსილება, კლიენტის კუთვნილი თანხა, კლიენტის თანხმობის გარეშე, გადაეცა მოწინააღმდეგე მხარისთვის, მით უმეტეს იმ პირობებში, როდესაც კლიენტს მორიგების აქტი სრულად შესრულებული ჰქონდა. ამ მოქმედებით, ადვოკატმა, გარდა იმისა, რომ დაარღვია ეთიკის კოდექსი, კლიენტს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი.

7.15 ეთიკის კომისია საჩივრის ავტორის მიერ ადვოკატის მიერ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის თაობაზე განმარტავს, რომ ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად ,,ეთიკის კომისია ამოწმებს ადვოკატზე შემოსულ ინფორმაციას, სწავლობს მის საფუძვლიანობას და წყვეტს ადვოკატის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხს“. შესაბამისად, ადვოკატის მიერ კლიენტისთვის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის განხილვა ეთიკის კომისიის კომპეტენციაში არ შედის, მხარეს შეუძლია ამის თაობაზე მიმართოს სასამართლოს.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის 34-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით, 35-ე მუხლით; ,,ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტით, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-3, მე-5, 13-ე პუნქტებით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ მ. დ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს საადვოკატო საქმიანობის უფლების ჩამორთმევა 6 (ექვსი) თვის ვადით.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი მხარეებს გაეგზავნოთ გადაწყვეტილების გამოტანიდან 5 დღის ვადაში.
3. ადვოკატ მ. დ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების №32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: ირაკლი კორძახია

კომისიის წევრი: ეკატერინე გასიტაშვილი

კომისიის წევრი:	მარინა კვაჭაძე
კომისიის წევრი:	ლავრენტი ქავთარაძე
კომისიის წევრი:	დავით კაკაბაძე
კომისიის წევრი:	დათუნა მოდებაძე
კომისიის წევრი:	ცირა შუბითიძე
კომისიის წევრი:	არჩილ კბილაშვილი
კომისიის წევრი:	გიგა კვერენჩხილაძე
კომისიის წევრი:	ემზარ პაქსაძე
კომისიის წევრი:	იური ვაზაგაშვილი
კომისიის წევრი:	კახაბერ წერეთელი